საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2023 წლის 30 იანვარი**

დისციპლინური საქმე №22/21
მოსამართლის -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2021 წლის 5 მარტის №22 და 26 მარტის №33 საჩივრების საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლის -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2021 წლის 26 მარტის №107/22-03 წერილით მოსამართლე -- -- ეცნობა მის მიმართ საჩივრების შემოსვლისა და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2021 წლის 29 მარტის გადაწყვეტილებით საჩივრები გაერთიანდა ერთ წარმოებად და დისციპლინურ საქმეს მიენიჭა №22/21 ნომერი.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2021 წლის 19 აპრილის №22/21 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2023 წლის 30 იანვრის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

1.1. -- -- უთითებს, რომ მოსამართლე სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებდა პირადი ინტერესით, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით. კერძოდ:

1.1.1. მოსამართლე სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას იჩენდა აშკარა მიკერძოებას მოპასუხის მიმართ და საჩივრის ავტორს გამუდმებით აძლევდა შენიშვნებს;
1.1.2. მოსამართლემ მიუხედავად მისი წინააღმდეგობისა დახურა სასამართლო სხდომა (მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე);
1.1.3. მოსამართლემ შეუზღუდა მას დაცვის უფლება და მის ადვოკატებს არ მისცა საშუალება მონაწილეობა მიეღოთ სასამართლო პროცესში (შვიდი ადვოკატის ორდერი იყო წარმოდგენილი საქმეში, მაგრამ პროცესზე მხოლოდ ერთი ადვოკატის ყოლის უფლება ეძლეოდა მოსარჩელეს);
1.1.4. მოსამართლემ სამჯერ უთხრა უარი დამცავი ორდერის გაცემაზე.

1.2. ასევე, -- -- თქმით, სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას მოსამართლე სიტყვიერად გამოხატავდა მის მიმართ დისკრიმინაციულ ქმედებას, კერძოდ ახდენდა მის გენდერული ნიშნით შევიწროებას (რაც ასევე პატივისა და ღირსების შელახვაში გამოიხატებოდა);

1.3. საჩივრის ავტორის მითითებით, მოსამართლე რეაგირების გარეშე ტოვებდა მის მიმართ მოპასუხის მხრიდან სიტყვიერი ფორმით გამოხატულ დისკრიმინაციულ ქმედებას;

1.4. საჩივრის ავტორი თვლის, რომ არსებობდა საქმის აცილების აშკარა საფუძველი მოსამართლის მხრიდან, მაგრამ მიუხედავად მისი სამჯერ დაყენებული შუამდომლობისა მოსამართლემ აცილებაზე/თვითაცილებაზე უარი უსაფუძვლოდ განაცხადა;

1.5. -- -- განმარტებით, მოსამართლის მხრიდან ადგილი ჰქონდა მისი როგორც სასამართლო პროცესის მონაწილის მიმართ აშკარა უპატივცემულობის გამოხატვის ფაქტს, რაც სიტყვიერი მუქარით გამოიხატებოდა.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

-- -- წარმომადგენელმა 2020 წლის 30 ნოემბერს №-- განცხადებით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს -- -- და მოითხოვა სამართლებრივი რეაგირება, კერძოდ, საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 166[1] მუხლის (სექსუალური შევიწროება) შესაბამისად, -- -- პასუხისმგებლობის დაკისრება, ასევე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე (მუქარა) და 151[1] (ადევნება) მუხლების საფუძველზე, მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის გამოძიების დაწყება.

-- -- 2020 წლის 4 დეკემბერს სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს ადმინსტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა -- -- განყოფილების 2020 წლის 2 დეკემბერს შედგენილი შემაკავებელი ორდერის ბათილად ცნობა.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 4 დეკემბრის განჩინებით -- -- სარჩელზე დაუდგენდა ხარვეზი. კერძოდ, მოსარჩელეს დაევალა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის ნიმუშით და ამ ნიმუშში მითითებული წესების დაცვით შედგენილი სარჩელის სასამართლოში წარდგენა. სარჩელი და თანდართული მასალების იმდენი ეგზემპლარის წარდგენა რამდენი მხარეცაა საქმეში. ასევე, მოსარჩელეს დაევალა შემაკავებელი ორდერის წაკითხვადი ვერსიის ან დედანი დოკუმენტის წარდგენა. აღნიშნული ხარვეზის აღმოსაფხვრელად მოსარჩელეს განესაზღვრა ხარვეზის განჩინების ჩაბარებიდან 3 დღე.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე -- -- 2020 წლის 8 დეკემბრის განჩინებით -- -- სარჩელი მოპასუხე - -- -- განყოფილებისა და გამომძიებელ -- -- მიმართ, 2020 წლის 2 დეკემბერს შედგენილი №-- შემაკავებელი ორდერის ბათილად ცნობის თაობაზე, მიღებული იქნა სასამართლო წარმოებაში.

2020 წლის 14 დეკემბერს -- -- სასამართლოს სხდომის დახურვის შუამდგომლობით მიმართა დაინტერესებული პირის წარმომადგენელმა.

-- -- სასამართლოს 2020 წლის 16 დეკემბრის საოქმო განჩინებით მოსარჩელის შუამდგომლობა მოსამართლის აცილების თაობაზე არ დაკმაყოფილდა; მოსარჩელის შუამდგომლობა მოწმეთა დაკითხვის თაობაზე დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, საქმეზე მოწმის სახით დაიკითხა -- --; დაინტერესებული პირის წარმომადგენლის შუამდგომლობა სასამართლო სხდომის დახურვის თაობაზე დაკმაყოფილდა.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ 2020 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით -- -- სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება 2021 წლის 2 თებერვალს -- -- გაასაჩივრა -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში 2021 წლის 22 იანვარს. -- სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 26 თებერვლის განჩინებით -- -- სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

საკასაციო საჩივარი -- -- წარადგინა 2021 წლის 29 მარტს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 2 აპრილის განჩინებით -- -- საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველი დაუშვებლობის მოტივით.

-- -- 2021 წლის 21 აპრილს განცხადებით მიმართა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება. -- -- სასამართლოს 2021 წლის 26 აპრილის განჩინებით ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ -- -- განცხადებაზე დადგენილ იქნა ხარვეზი. განმცხადებელს განჩინების სამოტივაციო ნაწილში აღწერილი ხარვეზის შესავსებად განესაზღვრა 10 დღის ვადა.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2021 წლის 19 აპრილის დასკვნა:

-- -- 2021 წლის 5 მარტის №22 და 26 მარტის №33 საჩივრების საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

4.1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება პირადი ინტერესის, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით.

ბანგალორის პრინციპების კომენტარების თანახმად, ინტერესთა კონფლიქტის პოტენციური შესაძლებლობა წარმოიშობა, როცა მოსამართლის (ან მისი ახლობლების) პირადი ინტერესები ეწინააღმდეგება მის მოვალეობას, მიუკერძოებლად განიხილოს სასამართლო საქმეები.[1]

იმისათვის, რომ მოსამართლის ქმედება მიჩნეულ იქნეს პირადი ინტერესით, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით განხორციელებულად, მოსამართლემ უფლებამოსილება ბოროტად უნდა გამოიყენოს ან/და ის უნდა მოქმედებდეს არაკეთილსინდისიერად, მიკერძოებულად, მას უნდა გააჩნდეს რაიმე პირადი ინტერესი ან უნდა მიიღოს სარგებელი კონკრეტული საქმიდან. თუ მოსამართლე დაუშვებს შეცდომას, მაგრამ დადგინდება, რომ იგი უფლებამოსილებას ახორციელებდა შინაგანი რწმენისა და კეთილსინდისიერების საფუძველზე, მიიჩნევდა, რომ მოქმედებდა მართლზომიერად და არ გააჩნდა პირადი ინტერესი, მაშინ აღნიშნული საფუძვლით მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემა დაუშვებელია.[2]

მოსამართლის ვალია, სამოსამართლო მოვალეობები სასამართლო განხილვის ყველა მხარის თანასწორობის პრინციპის დაცვით წარმართოს, მიკერძოებისა და დისკრიმინაციის გარეშე, მხარეთა

[1] „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები“ და კომენტარები, თბილისი 2015, გვ. 99, §67
[2] მოსამართლეთა პასუხისმგებლობის სისტემის ანალიზი, თბილისი 2014, გვ. 24
http://coalition.ge/files/analysis_of_the_judicial_liability_system_ge.pdf

შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით და ყოველი მხარისათვის სამართლიანი განხილვის უზრუნველყოფით.[3]

ა) საჩივრის ავტორი უთითებს, რომ მოსამართლე სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას იჩენდა აშკარა მიკერძოებას მოპასუხის მიმართ და მას გამუდმებით აძლევდა შენიშვნებს. 2020 წლის 16, 28 და 29 დეკემბრის სასამართლო სხდომის ოქმების შესწავლის შედეგად აღნიშნული ფაქტი არ დასტურდება. მოსამართლეს რომელიმე მხარის მიმართ მიკერძოებული დამოკიდებულება არ გამოუვლენია და მხარეებს თანაბარ შესაძლებლობას აძლევდა პოზიციის დასაფიქსრებდლად.

ბ) -- -- განმარტებით, მოსამართლემ მიუხედავად მისი წინააღმდეგობისა, მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე, დახურა სასამართლო სხდომა.

საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 2020 წლის 16 დეკემბრის სხდომაზე (17:38:32 საათზე) სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა -- -- წარმომადგენელმა -- -- და მოითხოვა სხდომის დახურვა იმ მოტივით, რომ -- -- თითქმის ონლინ რეჟიმში ასაჯაროებდა პროცესის მიმდინარეობის დეტალებს, რაც თავის მხრივ შეიცავდა მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის პირად და სენსიტიურ საკითხებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-13 მუხლის მეორე ნაწილის თანახამდ დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ხოლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად სასამართლოში ყველა საქმე განიხილება ღია სხდომებზე, თუ ეს არ ეწინააღმდეგება სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის ინტერესებს. დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა დასაშვებია აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, მხარის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე.

საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მოსამართლემ გაითვალისწინა და დასაბუთებულად მიიჩნია მხარის -- -- წარმომადგენელის -- -- შუამდგომლობა სხდომის დახურვის შესახებ, რაც არ წარმოადგენს დისციპლინური სამართალწარმოებით მსჯელობის საგანს.

გ) რაც შეეხება -- -- მითითებას იმ ფაქტზე, რომ მოსამართლემ შეუზღუდა მას დაცვის უფლება და მის ადვოკატებს არ მისცა საშუალება მონაწილეობა მიეღოთ სასამართლო პროცესში (შვიდი ადვოკატის ორდერი იყო წარმოდგენილი საქმეში, მაგრამ პროცესზე მხოლოდ ერთი ადვოკატის ყოლის უფლება ეძლეოდა მოსარჩელეს), საქმის მასალებისა და სასამართლო სხდომის ოქმის შესწავლის შედეგად დადგინდა შემდეგი ფაქტები:

- 2020 წლის 16 დეკემბრის სხდომაზე (15:55:03 საათზე), მოსამართლემ გააკეთა განმარტება, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ განხორციელდა სატელეფონო საუბარი -- -- და მოსამართლის თანაშემწეს შორის, სადაც -- -- კატეგორიულად ითხოვდა სასამართლო პროცესის სხდომის დარბაზში ჩატარებას, რაზეც მან მიუხედავათ არსებული პანდემიური მდგომარეობისა მიიღო თანხმობა;
- მოსამართლის განმარტებით, არსებული რეკომენდაციებით, რომელიც შემუშავებული იქნა ჯანდაცვის სამინისტროს მიერ, სასამართლო სხდომები უნდა გამართულიყო ან დარბაზში, დამსწრეთა და მონაწილეთა შეზღუდული რაოდენობით ან სრულად დისტანციურად, რაზეც ასევე არსებობდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი რეკომენდაციაც;
- მოსამართლემ, რეკომენდაციების გათვალისწინებით სხდომათა დარბაზში შეამცირა პროცესში მონაწილე პირთა ოდენობა, კერძოდ -- -- დართო ნება მხოლოდ ერთი დამცველის ყოლის. ამასთან, ვინაიდან პროცესი იმართებოდა სხდომათა დარბაზში, -- --, რომელიც ასევე იყო -- -- წარმომადგენელი, უარი უთხრა ონლაინ რეჟიმში ჩართვაზე.

[3] „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები“ და კომენტარები, თბილისი 2015, გვ. 173, §183

ამდენად, მოსამართლე მოქმედებდა არსებული რეკომენდაციების ფარგლებში და სხდომის დარბაზში ჩატარების გადაწყვეტილება მიიღო მხარეთა შუამდგომლობის გათვალისიწნებით. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებას პირადი ინტერესით ან სოციალური ზეგავლენით ადგილი არ ჰქონია.

დ) -- -- ასევე უთითებს, რომ მოსამართლემ სამჯერ უთხრა უარი დამცავი ორდერის გაცემაზე. აღნიშნულთან მიმართებით მნიშვნელოვანია, რომ დამცავი ორდერის გაცემის საკითხი არ წარმოადგენს დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში მსჯელობის საგანს.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საქმის მასალების შესწავლის შედეგად „ა.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ნიშნები არ იკვეთება.

4.2. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ე.ა.“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება, „სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას მოსამართლის სიტყვიერად ან სხვაგვარი ფორმით გამოხატული დისკრიმინაციული ქმედება ნებისმიერი პირის მიმართ ამა თუ იმ საფუძვლით“.

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, „ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით.“

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირი, „...რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად...“, თანაბრად უნდა სარგებლობდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით.

საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესების 25-ე მუხლის თანახმად, „მოსამართლე ვალდებულია - უზრუნველყოს პროცესის მონაწილეთა კანონის წინაშე თანასწორობა. დაუშვებელია, რომ პროცესის მონაწილის რასობრივი, ეროვნული, ეთნიკური, ენობრივი, წოდებრივი, თანამდებობრივი, ქონებრივი, რელიგიური, სქესობრივი კუთვნილება ან სხვა გარემოება გავლენას ახდენდნენ მოსამართლის უფლებამოსილებების სათანადოდ განხორციელებაზე ან სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს გარემოება წარმოადგენს საქმის საგანს.“ მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ წესებს ნორმატიული შინაარსი არ გააჩნიათ, ამ წესების გათვალისწინება მოსამართლის პროფესიული საქმიანობის მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს.

ასევე სარეკომენდაციო ხასიათი გააჩნია სასამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპებს, თუმცა, ამ წესების მნიშვნელობა საერთაშორისო კონტექსტში, ყველა ქვეყნის სასამართლო სისტემებისთვის დავის საგანს არ წარმოადგენს. სასამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების მე-5 პრინციპის მიხედვით, „სასამართლოს წინაშე ყველას მიმართ თანასწორ მოპყრობის უზრუნველყოფას არსებითი მნიშვნელობა აქვს სასამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას“. სასამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარებში ხსენებულ პრინციპთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ „...მოსამართლის ვალია, სამოსამართლო მოვალეობები სასამართლო განხილვის ყველა მხარის თანასწორობის პრინციპის დაცვით წარმართოს, მიკერძოებისა და დისკრიმინაციის გარეშე, მხარეთა

შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით და ყოველი მხარისათვის სამართლიანი განხილვის უზრუნველყოფით“.

მოცემულ შემთხვევაში საჩივრის ავტორი უთითებს, რომ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას მოსამართლე სიტყვიერად გამოხატავდა მის მიმართ დისკრიმინაციულ ქმედებას, კერძოდ ახდენდა მის გენდერული ნიშნით შევიწროებას (რაც ასევე პატივისა და ღირსების შელახვაში გამოიხატებოდა).

სასამართლო სხდომის ოქმის შესწავლის შედეგად არ დადასტურდა საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტი. შესაბამისად, მოსამართლის მიერ სიტყვიერად ან სხვაგვარი ფორმით გამოხატული დისკრიმინაციული ქმედების ჩადენის ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

4.3. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ე.ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს სასამართლოს აპარატის თანამშრომლის ან სასამართლო პროცესის მონაწილის მიერ სასამართლო პროცესის სხვა მონაწილის მიმართ სიტყვიერად ან სხვაგვარი ფორმით გამოხატული დისკრიმინაციული ქმედების მოსამართლის მიერ რეაგირების გარეშე დატოვება, თუ მოსამართლე ამ ფაქტის თვითმხილველია.

საჩივრის ავტორის მითითებით, მოსამართლე რეაგირების გარეშე ტოვებდა მის მიმართ მოპასუხის მხრიდან სიტყვიერი ფორმით გამოხატულ დისკრიმინაციულ ქმედებას.

საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 2020 წლის 29 დეკემბრის სხდომაზე (15:13:35 საათზე) -- -- მიმართა მოსამართლეს შუამდგომლობით მოეხდინა რეაგირება მოპასუხე მხარის შეურაცმყოფელ რეპლიკაზე, რაზეც მოსამართლემ მიმართა შემდეგი სიტყვებით: „შეიძლება გამომრჩა, თუ მსგავსი რამ კიდევ განმეორდება, მომმართეთ და რეაგირებას აუცილებლად მოვახდენ“.

აღნიშნული ფაქტიდან გამომდინარე და ასევე სასამართლო სხდომის ოქმის შესწავლის შედეგად მოსამართლის მხრიდან „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ე.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაცდომის ნიშნები არ გამოვლენილა.

3.4. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ბ.დ.“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება, „მოსამართლის მიერ საქმის აცილებაზე/თვითაცილებაზე უარის თქმა, როცა არსებობს საქმის აცილების კანონით გათვალისწინებული აშკარა საფუძველი“.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1985 წელს შემუშავებული დოკუმენტის „სასამართლოს დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპების“ მე-2 მუხლი ითვალისწინებს შემდეგ პირობას: „სასამართლომ მის წინაშე წარდგენილი საქმეები უნდა გადაწყვიტოს მიუკერძოებლად, ფაქტებზე დაყრდნობით და კანონის შესაბამისად, ნებისმიერი მხრიდან და ნებისმიერი მიზნით ყოველგვარი შეზღუდვის, შეუსაბამო ზეგავლენის, იძულების ზეწოლის, დაშინების ან პირდაპირი თუ არაპირდაპირი ჩარევის გარეშე“.

მოსამართლის მიუკერძოებლობის სტანდარტებთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანი განმარტებაა გაკეთებული სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპებში, სადაც აღნიშნულია, რომ (2.1) „...მოსამართლემ უნდა განახორციელოს მისი სამოსამართლო ვალდებულებანი ფავორიტიზმის, მიკერძოების ან წინასწარი განწყობის გარეშე.“ (2.5) „მოსამართლემ უნდა აიცილოს საქმე ისეთ შემთხვევებში, როდესაც მას არ შესწევს უნარი საქმე განიხილოს მიუკერძოებლად ან როდესაც გონიერ დამკვირვებელს შეიძლება მოეჩვენოს, რომ მოსამართლეს არ შესწევს საქმის მიუკერძოებლად განხილვის უნარი.“ (3.1) „მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს რომ მისი საქციელი გონიერი

დამკვირვებლის თვალში იყოს უმწიკვლო.“ ამასთან, (3.2) „მოსამართლის ქცევამ და მოქმედებამ უნდა განამტკიცოს საზოგადოების ნდობა სასამართლოს შეუვალობის მიმართ. მართლმსაჯულება არა მხოლოდ უნდა აღსრულდეს, არამედ უნდა გამოჩნდეს როგორც აღსრულებული“.

მოსამართლის აცილების მიღებული კრიტერიუმია მისი მიკერძოებულობის თაობაზე საფუძვლიანი ეჭვის არსებობა. მიკერძოების ან წინასწარ შექმნილი აზრის არსებობის თაობაზე ვარაუდის საფუძველი დგინდება სხვადასხვა იურიდიული ფორმულების გათვალისწინებით, როგორებიცაა: „მომეტებული ალბათობა“, „რეალური შესაძლებლობა“, „დიდი ალბათობა“, ასევე „საფუძვლიანი ეჭვი“ მიკერძოების თაობაზე. მოსამართლის ქცევა ფასდება ჰიპოთეზური გარეშე დამკვირვებლის პოზიციიდან, რათა ხაზი გაესვას გამოყენებული კრიტერიუმის ობიექტურობას, რომელიც ითვალისწინებს სასამართლოსადმი საზოგადოებრივი ნდობის შენარჩუნების აუცილებლობას და მოსამართლის მუშაობის მხოლოდ იმ შეფასებას არ ეყრდნობა, რომელიც სასამართლოს შემადგენლობაში შემავალ მის კოლეგებს შეეძლოთ გაეკეთებინათ.

მოცემულ შემთხვევაში, 2020 წლის 16 დეკემბრის (16:07:52 საათზე) -- -- დააყენა მოსამართლის აცილების შუამდგომლობა, რის მოტივადაც უთითებდა იმ ფაქტს თითქოს მას მოსამართლე უზღუდავდა სათანადო დაცვის უფლებას. მოსამართლემ არ დააკმაყოფილა აცილების შესახებ შუამდგომლობა, ვინაიდან იგი მიიჩნია უსაფუძვლოდ. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ 2020 წლის 28 დეკემბერს (13:37:06 საათზე), -- -- უარი განაცხადა მის მიერ წარდგენილ შუამდგომლობაზე, მოსამართლის აცილებასთან დაკავშირებით და განაცხადა: „ჩემი მიზანი არ არის სასამართლოსადმი უპატივცემლობის გამოხატვა, უარს ვაცხადებ ჩემს შუამდგომლობაზე აცილებასთან დაკავშირებით“.

დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს მოსამართლის მიერ აცილების აშკარა საფუძველის უგულებელყოფა. ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში აცილების აშკარა საფუძველი არ არსებობდა არ იკვეთება მოსამართლის მხრიდან „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ბ.დ.“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნები.

4.5. წინამდებარე დისციპლინური საქმე ასევე შეეხება, მოსამართლის მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შესაძლო დისციპლინური გადაცდომის ჩადენას, კერძოდ, „მოსამართლის მიერ სხვა მოსამართლის, სასამართლოს აპარატის თანამშრომლის ან სასამართლო პროცესის მონაწილის მიმართ აშკარა უპატივცემულობის გამოხატვა“.

მოსამართლის მიერ სასამართლო პროცესის მონაწილის მიმართ აშკარა უპატივცემულობის გამოხატვის შეფასების დროს ყურადღება უნდა გამახვილდეს, როგორც სამოსამართლო ეთიკის წესებზე ისე საერთაშორისო სამართლებრივ აქტებზე და დადგენილ სტანდარტებზე.

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო (CCJE) 2002 წლის №3 დასკვნაში აღნიშნავს, რომ სამოსამართლო დავების გადაწყვეტის არსებული მეთოდები ყოველთვის ნდობას უნდა იმსახურებდეს. უფლებამოსილებანი, რომლებითაც მოსამართლეები არიან აღჭურვილნი, უშუალოდ დაკავშირებულია ისეთ ღირებულებებთან, როგორიცაა სამართლიანობა, ჭეშმარიტება და თავისუფლება. მოსამართლეების მიმართ გამოყენებული ქცევის სტანდარტები გამომდინარეობს ამ ღირებულებებიდან და მართლმსაჯულების განხორციელების საფუძველს წარმოადგენს.[4] ამასთან, საზოგადოებრივი ნდობა და პატივისცემა სასამართლო ხელისუფლებისადმი სასამართლო სისტემის მუშაობის ეფექტიანობის გარანტიებს წარმოადგენს, ცალსახად ნათელია, რომ სამოსამართლო ქცევა პროფესიულ სფეროში საზოგადოების წევრების მიერ განიხილება, როგორც სასამართლოების

[4] ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო CCJE, დასკვნა 3, 2002, §8, გვ. 3

მიმართ ნდობის განუყოფელი ნაწილი.[5]

„სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპებისა“ 4.1 კომენტარის თანახმად, მოსამართლე იცავს ეთიკის ნორმებს, მისთვის დაუშვებელია არაკორექტული ქცევა მის თანამდებობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ქმედების განხორციელებისას.

სამოსამართლო ეთიკის წესების 28-ე მუხლის თანახმად, მოსამართლე ღირსებითა და სათანადო თავაზიანობით უნდა ეპყრობოდეს კოლეგებს, პროცესის მონაწილეებსა და დამსწრე საზოგადოებას.

დადგენილია, რომ სასამართლო სხდომის აუდიო- და ვიდეოოქმების მოსმენის შედეგად მოსამართლის მიერ არაეთიკური, დამამცირებელი ან შეურაცხმყოფელი მიმართვის ფაქტი არ გამოვლენილა.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრისას მხარს დაუჭერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2023 წლის 30 იანვრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ათმა წევრმა, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობდა მოსამართლე -- -- მიმართ დისციპლინური დევნისა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის საფუძვლები.

შესაბამისად „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტისა და 75^{13} მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №22/21 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი

[5] ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო CCJE, დასკვნა 3, 2002, §22, გვ. 6